

სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება	მეცნიერების მენეჯმენტი Research Management
ავტორი (ავტორები)	გიორგი ღვედაშვილი
ლექტორი (ლექტორები)	გიორგი ღვედაშვილი - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ტელ: 2222 473; ელ.-ფოსტა: giorgi.ghvedashvili@tsu.ge თამარ გოგუა - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; ტელ: 2222 473; ელ.-ფოსტა: tamar.gogua@tsu.ge ლელა კვინიკაძე - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; ტელ: 2222 473; ელ.-ფოსტა: lela.kvinikadze@tsu.ge
სასწავლო კურსის კოდი	კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად
სასწავლო კურსის სტატუსი	1. სასწავლო კურსი განკუთვნილია თსუ–ს ყველა ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის
	2. დოქტორანტურა
	3. არჩევითი საუნივერსიტეტო; სავალდებულო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებისთვის
სასწავლო კურსის მიზნები	დაეხმაროს დოქტორანტს გახდეს მაღალკვალიფიციური მკვლევარი; განუვითაროს უნარი მასშტაბურად შეხედოს თავის პროფესიას, მის წინ მდგარ კვლევით ამოცანებს, დაეხმაროს მას ნებისმიერი კვლევის თანმხლები თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში; შესძინოს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევები; მიაწოდოს მეცნიერების მართვის ელემენტები; შეუქმნას წარმოდგენა კვლევასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე. კურსმა მსმენელს უნდა განუვითაროს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან კომუნიკაციისა და საკუთარი კვლევის შედეგების წარმოჩენის უნარი. დოქტორანტს საშუალება მიეცემა გაეცნოს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და აითვისოს საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტები
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS)	5 კრედიტი (კვირაში სამი საათი: 1 ლექცია + 2 ჯგუფური მუშაობა) = 125 სთ. სალექციო – 15 სთ ჯგუფური მუშაობა – 30 (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩატარების – 4 სთ – 2 სთ თითო შუალედურ გამოცდაზე). შუალედური გამოცდებისთვის მომზადება – 4-4 სთ (სულ 8) საბოლოო გამოცდისთვის მომზადება – 9 სთ.

	საბოლოო გამოცდის ჩაბარება – 3 სთ. ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 60 სთ.
დაშვების წინაპირობები	სასწავლო კურსს შესწავლის წინაპირობები არ გააჩნია.
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება: დოქტორანტს ექნება მეცნიერების მენეჯმენტის უახლეს მიღწევებსა და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული ცოდნა; ათვისებს და გააცნობიერებს შეძენილი ცოდნის კრიტიკული გააზრების, გაფართოებისა და თვისებრივად ახლებური ელემენტებით გამდიდრების მეთოდებს.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: დოქტორანტი დამოუკიდებლად შეძლებს ათვისებული ცოდნის წარმატებით გამოყენებას მეცნიერების ნებისმიერ სფეროში – შეიძენს მის წინაშე მდგარი კვლევითი ამოცანების ეფექტურად და პროდუქტიულად გადაწყვეტის უნარს, გამოუმუშავდება სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; შეძლებს სამეცნიერო კვლევების შეფასებასა და კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩინებას, შეეძლება სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად.</p> <p>კომუნიკაციის უნარი: დოქტორანტი შეძლებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, პოტენციურ პარტნიორებთან და დონორებთან წარმატებულ კომუნიკაციას; სამეცნიერო პოტენციალისა და კვლევის შედეგების არგუმენტირებულად და გარკვევით წარმოჩენას მეცნიერების მენეჯმენტის სფეროს ცოდნისა და მეთოდების საფუძველზე.</p> <p>სწავლის უნარი: დოქტორანტი შეძლებს სწავლისა და კვლევის პროცესში მეცნიერების მენეჯმენტის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე ინოვაციური იდეების განვითარებას/გენერირებას.</p> <p>ღირებულებები: დოქტორანტი შეძლებს მეცნიერების მენეჯმენტის, როგორც ჩვენი რეალობისათვის ახალი სოციალური და სამეცნიერო ღირებულების დამკვიდრების გზების კვლევასა და ამ ღირებულების დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებას.</p>
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი
სწავლების/სწავლის მეთოდები	<i>სწავლებისა და სწავლის ძირითადი მეთოდები:</i> დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება.
შეფასების კრიტერიუმები	დასწრება (ლექცია და სემინარი) – 10% პრაქტიკული დავალებები (CV და სამოტივაციო წერილი, საგრანტო პროექტის ბიუჯეტის ფორმირება) – 10%+10% = 20% კოლოკვიუმი/პრეზენტაცია (პროექტის მომზადება, სტატიის

	<p>მომზადება) – 15%+15% = 30%</p> <p>საბოლოო გამოცდა - 40% (გამოცდა ჩატარდება წერა/ზეპირი გამოკითხვის ფორმით)</p> <p>სტუდენტის გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტის შუალედური შეფასება, სემესტრში გაწეული მუშაობიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები.</p>
<p>ძირითადი ლიტერატურა</p>	<p>1. სალექციო კურსი: https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/research/science_management/</p> <p>2. სალექციო კურსისათვის გამოყენებული ლიტერატურა: http://www.europeanresources.co.uk/jobseekers/interviewing.html http://springerlink.com/home/main.mpx http://thomsonscientific.com/ http://www.cvtips.com/how_to_write_a_CV.html http://www.cdm.uwaterloo.ca/step4_4.asp http://www.gnsf.ge/chapter.asp?idcategory=67 http://sciencerd.tsu.ge/fondebi.htm http://www.rsci.ru/allFonds.html http://www.funduszngo.pl/en/ochrona-srodowiska-strona-glowna/jak-napisac-dobry-wniosek-o-dofinanso.html http://www.ehow.com/how_2085210_write-project-description-proposal.html http://www.docstoc.com/docs/2551080/How-to-Write-a-Project-Proposal http://www.isitebuild.com/article-writing-2.html http://power-e.ru/pdf/article_write.pdf http://www.aaps-journal.org/submission%20pdf/How%20to%20Write%20a%20Scientific%20Paper.pdf http://www.leedsmet.ac.uk/research/REF.pdf http://www.sakpatenti.org.ge/ http://europeanchoice.ge/science/20-inteleqti.html</p>
<p>დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>	<ol style="list-style-type: none"> http://www.cs.york.ac.uk/projects/howtowrt.html http://kit-e.ru/articles/market/2007_5_24.php How to write scientific article - http://volidis.ru/good-paper http://members.bellatlantic.net/~vze3fs8i/air/airpaper.html http://en.wikipedia.org/wiki/Bibliometrics http://microsites.oii.ox.ac.uk/tidsr/kb/48/what-bibliometrics-and-scientometrics http://journals.cambridge.org/action/login;jsessionid=822A9DC6BD78FA45C30E6BD5DAF0A430.tomcat1 http://www.oxfordjournals.org
<p>დამატებითი ინფორმაცია/პირობები</p>	<p>დამატებითი პირობები არ მოითხოვება.</p>

სასწავლო კურსის შინაარსი

N	თემა (ლექცია/სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.)	სასწავლო მასალა
1-2	კარიერის მოწყობა (საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის ადეკვატური გადმოცემა; CV-ის ფორმები, სააპლიკაციო დოკუმენტების შევსება, საკარიერო ინტერვიუები). (პრაქტიკული დავალებები: CV-ის მომზადება, საკარიერო აპლიკაციების მომზადება).	[1], [4], [5], [მომზადებული პრეზენტაცია]
3-4	სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობი ფონდები (ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდები, მათი სპეციფიკების დახასიათება. შეფასების პრინციპები და დაფინანსების სქემები).	[6], [7], [8], [მომზადებული პრეზენტაცია]
5-6	როგორ დავეწროთ კარგი საგრანტო პროექტი (პროექტის ზოგადი სტრუქტურა, აქტუალობის გამოყოფა, კვლევის მიზნებისა და მეთოდების მკაფიო აღწერა, პროექტში დასაქმებული პერსონალის ოპტიმალური შერჩევა და მათი კომპენტენციების სწორი ხაზგასმა პროექტის მიზნების კონტექსტში. კვლევითი პროექტის შეფასება და კრიტერიუმები). (საპრეზენტაციო დავალება: საგრანტო პროექტის შედგენა).	[9], [10], [11], [მომზადებული პრეზენტაცია]
7-8	კვლევის შეფასების ინდიკატორები (პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან/რეფერირებად გამოცემებში, ციტაციის კოეფიციენტი, პატენტები, მოხსენებები სამეცნიერო ფორუმებზე, მოზიდული საგრანტო და სხვა სახის სახსრები და ა.შ. საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენება).	[2], [3], [მომზადებული პრეზენტაცია]
9-10	რა არის მკვლევარის ბიბლიომეტრია, მეცნიერების აუდიტი (საძიებო სისტემები; არქივთან მუშაობა).	[2], [3], [15], [მომზადებული პრეზენტაცია]
11-12	როგორ დავეწროთ კარგი სამეცნიერო სტატია (სტატიის ზოგადი სტრუქტურა, აქტუალობის და სიახლის გამოყოფა, მეთოდოლოგიის აღწერა და კვლევის შედეგების წარმოჩენა, კვლევის შედეგების მნიშვნელობა). (საპრეზენტაციო დავალება: სამეცნიერო სტატიის მომზადება).	[12], [13], [14], [მომზადებული პრეზენტაცია]
13-14	ინტელექტუალური საკუთრების მარკეტინგი (საერთაშორისო რეგულაციები ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში, ინტელექტუალური საკუთრება როგორც მარკეტინგის ობიექტი, ინოვაციური პროდუქტის მარკეტინგის თავისებურებანი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე).	[16], [17], [მომზადებული პრეზენტაცია]
15	შემაჯამებელი შეხვედრა (მასალის მიმოხილვა, დიალოგი).	
ლექციები წარიმართება დიალოგის რეჟიმში, PowerPoint-პრეზენტაციის გამოყენებით, სემინარებზე განხილული იქნება ლექციების შესაბამისი პრაქტიკული საკითხები და მაგალითები		